საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №15
2026 წლის 16 თებერვალი

ქ. თბილისი

„იარაღის რეგისტრაციის მოწმობის, სანებართვო მოწმობების ფორმების, აგრეთვე მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 22 დეკემბრის №1371 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„იარაღის რეგისტრაციის მოწმობის, სანებართვო მოწმობების ფორმების, აგრეთვე მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 22 დეკემბრის №1371 ბრძანებაში (სსმ III, №181, 22/12/2008, 140.120.000.22.034.012.490) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და ბრძანების:

1. **პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ^{7}“-„თ^{9}“ ქვეპუნქტები**:

„თ^{7}) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 15^{6} პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვა (დანართი №8^{7});

თ^{8}) საქართველოს მოქალაქის მიერ ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვა (დანართი №8^{8});

თ^{9}) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვა (დანართი №8^{9}).“.

2. **1^{1} პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1^{1}. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა (ფორმა №2) და „დ“-„თ^{9}“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული ფორმები განეკუთვნებიან მესამე კატეგორიის – „მარტივი ტიპის“ მკაცრი აღრიცხვის ფორმებს, რომელთაც გააჩნიათ შემდეგი სახის დამცავი ნიშნები (უსაფრთხოების მახასიათებლები):

ა) წყლის ნიშანი საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოსახულებებით;

ბ) მთლიანად დაფარული დამცავი გილიოშური ბადე, რომელიც დამატებით, დოკუმენტის ცენტრში, დიაგონალზე ქმნის წარწერას „მომსახურების სააგენტო“;

გ) კოპირებისაგან დამცავი მიკროშრიფტი.“.

3. **ბრძანებას დაემატოს №8^{7} – №8^{9} დანართები თანდართული რედაქციით**.

მუხლი 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია მარაგების ამოწურვამდე გამოიყენოს ამ ბრძანების ამოქმედებამდე

დამზადებული ბლანკი, რომელზეც დატანილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს იურიდიული მისამართის ძველი სახელწოდება: „თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ“.

მუხლი 3
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **გელა გელაძე**